თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობის კანდიდატის **გიორგი შავერზაშვილის**

კონსერვატორიის განვითარების სამოქმედო გეგმა

გამომდინარე იქიდან, რომ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში უკვე არაერთი ათეული წელი ვმუშაობ, ვარ საკომპოზიტორო მიმართულების პროფესორი, მეექვსე წელია ვარ აკადემიური საბჭოს წევრი, ასევე სადისერტაციო საბჭოს წევრი, გარკვეულ წილად მაქვს საკმაოდ სრული წარმოდგენა კონსერვატორიის ამჟამინდელ მდგომარეობაზე, მის ძლიერ თუ სუსტ მხარეებზე.

სადღეისოდ არსებული მდგომარეობისა და მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ კონსერვატორიის განვითარების მოკლევადიან სამოქმედო გეგმას, რომელიც მიზნად ისახავს კანონით განსაზღვრულ ვადაში შექმნას ყველა პირობა იმისათვის, რომ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიამ წარმატებით ჩაატაროს რექტორის არჩევნები.

ამავდროულად, საგულისხმო იქნება ყველა იმ პროცესის თუ ინიციატივის ხელშეწყობა, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში საფუძველს ჩაუყრის კონსერვატორიაში სამომავლო განვითარებისა და განახლების პროცესებს.

1. უპირველესად საჭიროა ყველა პირობის შექმნა სასწავლო პროცესის შეუფერხებელი მიმდინარეობისათვის; შემოქმედებითი და სამეცნიერო პროექტების ხელშეწყობა, როგორც მიმდინარე, ასევე ახალი პროექტების განხილვა და წარმართვა, უწყვეტი სასწავლო და სამეცნიერო პროცესის უზრუნველსაყოფად.

2. სასწავლო პროცესისთვის ესოდენ მნიშვნელოვანია საკონცერტო-საშემსრულებლო პროცესების ხელშეწყობა და უზრუნველყოფა; ამავდროულად, საკონცერტო დარბაზებში დაგეგმილი ფესტივალებისა და კონცერტების ჩატარება და სამომავლო მუშაობის დაგეგმვა.

3. მაღალი აკადემიური დონის შენარჩუნებისთვის, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ყველა პრობლემური საკითხის გადაწყვეტისა თუ პრევენციის მიზნით მნიშვნელოვნად მიმაჩნია მჭიდრო ურთიერთობა კონსერვატორიის მიმართულებების და პროგრამების ხელმძღვანელებთან.

4. აგრეთვე, მნიშვნელოვანია პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მჭიდრო თანამშრომლობა, უფროსი თაობის პროფესიული ცოდნის, კვალიფიკაციისა და გამოცდილების, ამავდროულად, სტუდენტთა მხრიდან წამოსული ინიციატივისა და ინტერესის გათვალისწინებით, სტუდენტთა შემოქმედებითი თავისუფლების წახალისებით.

5. უნდა გაგრძელდეს მუშაობა სტუდენტის ინტერესებზე ორიენტირებული, სრულფასოვანი სასწავლო გარემოს, სამეცადინო სივრცისა და ინფრასტრუქტურის შექმნაზე, მათ შორის, კლასების დაჯავშნის სისტემის კიდევ უფრო სრულყოფა, კვების ობიექტის ამუშავება და ყველა იმ წინადადების განხილვა და განხორციელება, რომელიც წაადგება მუშაობისთვის კომფორტული გარემოს შექმნას.

6. მეორე სპეციალობის დაუფლების სურვილის შემთხვევაში, სტუდენტებს უნდა მიეცეს სპეციალიზაციის ნაწილობრივი შეთავსების შესაძლებლობა, რისთვისაც, მსოფლიოში არსებული გამოცდილების გათვალისწინებით, უნდა მოიძებნოს ჩვენთვის მისაღები ფორმა.

7. სტუდენტებისთვის პრაქტიკული საშემსრულებლო გამოცდილების გარემოს შესაქმნელად, საჭიროდ მიმაჩნია გაფართოვდეს ურთიერთობები სხვა მუსიკალურ ინსტიტუციებთან თბილისსა და რეგიონებში (თბილისის და ქუთაისის ოპერის თეატრები, ჯ. კახიძის მუსიკალურ-კულტურული ცენტრი, კომპოზიტორთა კავშირი, ილიაუნი, „ნიჭიერთა ათწლედი“, სახელოვნებო სკოლები და სხვა); დაიგეგმოს გასვლითი კონცერტები და ერთობლივი ღონისძიებები თბილისსა და რეგიონებში; ასევე, უნდა მოიძებნოს სხვა სახელოვნებო ინსტიტუციებთან უფრო აქტიური ურთიერთობის ფორმები.

8. მნიშვნელოვანია კონსერვატორიის საერთაშორისო ურთიერთობის ხაზის გაგრძელება, შემდგომი განვითარებისა და გაფართოების გზების პოვნა, საერთაშორისო ინსტიტუციებთან ინტენსიური თანამშრომლობა.

9. უმოკლეს ვადაში უნდა ჩატარდეს კონსერვატორიის კანცლერის არჩევნები, რათა დროულად დაიწყოს 2024 წლის ბიუჯეტზე მუშაობა; აქვე აუცილებელია დაიწყოს პროფესორ-მასწავლებელთა და თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების გაზრდის საკითხზე მუშაობა.

10. მოკლევადიანი სამოქმედო გეგმის ნაწილია კონსერვატორიის აკრედიტაციის დასრულება და მომავალი ავტორიზაციისთვის მზადების დაწყება.

11. „ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის“ სტატუსთან დაკავშირებით აღმოჩენილი ხერვეზის აღმოსაფხვრელად უნდა ჩატარდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული ცვლილებები, შეიქმნას ცენტრის შესაბამისი სრტუქტურა. ამ ცენტრს დამოუკიდებელი სტატუსი უკვე მიენიჭა, ხოლო შემდგომ ეტაპზე ჩასატარებელი აქვთ საკმაოდ რთული და საპასუხისმგებლო სამუშაო, რათა დამოუკიდებელი ერთეულის სტრუქტურა კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანილ იქნეს. ეს ეხება წესდებას, მეცნიერ თანამშრომელთა სტატუსს, მათ სათანადო რაოდენობას და სხვა. ამის განხორციელებას საკმაოდ დიდი ძალისხმევა ესაჭიროება.

12. საჭიროდ მიმაჩნია მეტი ურთიერთობა კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, როგორც კონსერვატორიის უმთავრეს მაკონტროლებელ ორგანოსთან.

13. ცხადია, კონსერვატორიის წარმატებული საქმიანობისთვის ხელშეწყობა დაფუძნებულია ურთიერთპატივისცემაზე აგებული კოლეგიალური შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნით, რაც ჩემთვის შემოქმედებითი მუშაობისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა.